პროფესიული განათლების რეფორმა

შეფასების II ფაზა

2018 წლის 25 აპრილს, რეფორმეტრის მეორე ფაზა პროფესიული განათლების რეფორმის შესრულების შეფასებით გაგრძელდა.

სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმის 2013-17 წლების სამოქმედო გეგმის 83,3% შესრულებულია. აღნიშნული მაჩვენებელი I ფაზაში 80%-ს შეადგენდა.



მთავრობის ანგარიშის მიხედვით, ირკვევა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში დაინერგა მიზნობრივი ჯგუფებისთვის სტუდენტური სესხებისა და ხელშეკრულებების სისტემა. ასევე, მომზადდა თვითშეფასების ინსტრუმენტები სასწავლებლებისთვის. პროფესიულ სასწავლებლებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის მოდელების პილოტირება და შეფასება ჯერ ისევ პროცესშია. არ დანერგილა კრედიტების სისტემა არაფორმალური განათლების აღიარებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადდნენ სისტემის დონეზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად. დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელი ჯერ არ შექმნილა და არ განსაზღვრულა კერძო სექტორის მინიმალური სტანდარტი პრაქტიკისა და გამოცდების პროცესებში ჩართვისთვის

სულ მალე გამოქვეყნდება რეფორმის 2018-20 წლების ოფიციალური სამოქმედო გეგმა.

2018 წლის აპრილის მდგომაროებით, რეფორმის 2013-20 წლების გეგმის 52,1%-ია შესრულებული.



დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 7,37 ქულა დაუწერა და რეფორმიამ შეფასება „ძლიერი“ დაიმსახურა. 1-ფაზაში რეფორმამ 5,76 ქულა მიიღო. ქულების მიხედვით ირკვევა, რომ დაინტერესებულ ჯგუფებს რეფორმის მიმართ მაღალი მოლოდინები აქვთ (8.11 ქულა).



შეხვედრაზე გაიმართა **დისკუსია,** რომელსაც, დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ირინა წეროძე ესწრებოდნენ. მონაწილეებმა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს გაუსვეს ხაზი:

- ბევრ პროფესიულ კოლეჯში ინფრასტრუქტურული ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა აუცილებელია, პროფესიული სასწავლებლები მოერგონ ახალ რეალობას და გააუმჯობესონ სწავლების მეთოდები, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრაში იყონ. სამუშაო სწავლების მოდელზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, როგორ გაიზარდოს მასშტაბები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროფესიულ განათლებაში სახელმწიფომ სულ უფრო მეტი და მსხვილი კომპანია მოიზიდოს;
- წინა პლანზე დგას სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული სწავლების მდგრადობის საკითხი. დონორთა მონაწილეობის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოს მოუწევს ფინანსური ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება და ის ამისთვის მზად უნდა იყოს;

- იმისათვის, რომ ამაღლდეს პროფესიულ კოლეჯებში სწავლების ხარისხი, აუცილებელია გაღრმავდეს პროფესიული კოლეჯებისა და კერძო კომპანიების თანამშრომლობა. ამისთვის საჭიროა პროფესიული კოლეჯების პედაგოგების წახალისება. მაგალითად, კოლეჯის პედაგოგების ანაზღაურების დაანგარიშებისას, ის დროც უნდა იქნას გათვალისწინებული, რასაც ისინი კომპანიებთან კომუნიკაციაში ხარჯავენ;
- მნიშვნელოვანია დუალური პროფესიული განათლების პროგრამების არა მხოლოდ მასშტაბების ზრდა, არამედ მისი სისტემატიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია. ასევე, საჭიროა არსებობდეს პროცესის მაკოორდინებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუცია;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის მეტი ნაბიჯია გადასადგმელი. ის არ უნდა ასოცირდებოდეს ცოდნისა და პროფესიონალიზმის დაბალ დონესთან. ამისთვის საჭიროა წარმატებული მაგალითების ფართოდ გაშუქება. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებმა უფრო აქტიურად უნდა დაასაქმონ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები;
- კერძო სექტორის გადმოსახედიდან, ხარისხი კვლავ პრობელმაა. კოლეჯების კურსდამთავრებულებს ხშირად გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ კვალიფიკაციაზე და ითხოვენ მაღალ შრომის ანაზღაურებას. კერძო სექტორს ხშირად არ უღირს მსგავსი ხელფასის გადახდა, რადგან მათი გადამზადება დამატებით რესურსებს მოითხოვს.

შეფასების შედეგად, **რეფორმვერდიქტი** - მთავრობის ერთიანი შეფასება გაიზარდა და მან 5.26 შეადგინა. გაიზარდა რეფორმევერდიქტის ყველა კომპონენტი.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

რეფორმეტრი

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

პროფესიული განათლების
რეფორმის სტრატეგია
2013-2020

ახალი სამოქმედო გეგმა
2018-2020

ReforMeter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით 2013-2017

II ფაზა



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMéter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

ინსტიტუციური მოწყობა 2013-2017

- პროფესიულ სასწავლებლებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის მოდელების პილოტირება და შეფასება პროცესშია
- არსებული პრაქტიკისა და რესურსების ინვენტარიზაცია შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვება-ანალიზისათვის არ მომხდარა
- კრედიტების სისტემა არაფორმალური განათლების აღიარებისათვის არ დანერგილა
- ევროპული ინსტრუმენტების შესწავლა და დანერგვა შერჩეულ პროფესიულ სფეროებში (Europass) არ დასრულებულა
- დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელი არ დანერგილა

✓ დაინერგა მიზნობრივი ჯგუფებისთვის სტუდენტური სესხებისა და ხელშეკრულებების სისტემა

✓ მომზადდა თვითშეფასების ინსტრუმენტები სასწავლებლებისთვის

ReforMéter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

კომპეტენციის გაძლიერება 2013-2017

კომპეტენციის გაძლიერება

85.9% ↗
პროგრესირებს

- ინერგება ტრენინგები არაფორმალური განათლების აღიარებაში
- პროფესიული განათლების სფეროში შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის კვლევის მეთოდოლოგია ჯერ არ შემუშავებულა
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადდნენ სისტემის დონეზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად

ReforMeter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი 2013-2017

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

86% ↗
პროგრესირებს

- დაიწყო შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზის შექმნა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სტრუქტურული ერთეულისათვის
- დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელი არ შექმნილა

ReforMeter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

სამართლებრივი ჩარჩო 2013-2017



- <u>დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელის</u> დანერგვისათვის სამართლებრივი ბაზა არულყოფილი არ არის
- არ განსაზღვრულა <u>კერძო სექტორის</u> მინიმალური სტანდარტი პრაქტიკისა და გამოცდების პროცესებში ჩართვისთვის
- არ შეცვლილა პროფესიული განათლების <u>მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებასთან</u> დაკავშირებული ნორმატიული ბაზა

ReforMeter

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით
2013-2020



ReforMeter

ISET

პროფესიული განათლების რეფორმა

შეფასები II ფაზა

რეფორმის ინდიკატორები

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროფესიულ განათლებაზე დახარჯული ფულადი სახსრები იზრდება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პროფესიული სასწავლებლები საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი, რომელთაგან 65% კერძო, ხოლო 35% კი საჯარო სასწავლებლებია



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროფესიულ სასწავლებლებში <u>ჩარიცხული</u> სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად მცირდება პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხულთა წილი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress · One Reform at a Time

აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა საჯარო პროფესიულ კოლეჯებში სტაბილურად იზრდება



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

სტუდენტების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე (არა ყველა მათგანი სრულ განაკვეთზე) მცირდება



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

2017 წელს სტუდენტების უმრავლესობამ აირჩია ინჟინერიის მიმართულება საჯარო სასწავლებლებში, მაშინ როცა კერძო სასწავლებლებში ყველაზე მოთხოვნადი ჯანდაცვის მიმართულება იყო



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნესის ადმინისტრირებაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მცირდება, მაშინ როცა აგრარულ მეცნიერებებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა იზრდება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress · One Reform at a Time

სქესის დისბალანსი კვლავ სახეზეა: ინჟინერიაში ძირითადად დომინირებენ კაცი სტუდენტები, ქალები კი - აგრარულ საპეციალობებში, ბიზნესის ადმინისტრირებაში და ხელოვნებაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress · One Reform at a Time

ეკონომიკის სამინისტროს მიხედვით საწარმოების 13.7%-ს (ჯამში 13,198 კომპანია) დასაქმებული ჰყავს პროფესიული განათლების მქონე ადამიანები. ამ მონაცემმა შეიძლება შეგვიყვანოს შეცდომაში, რადგან საწარმოების რაოდენობა წონების გარეშეა აღებული



წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საწარმოების მხოლოდ 1% (ჯამში 953 საწარმო) თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან, ხოლო მხოლოდ 5.9%-მა (ჯამში 5,721 საწარმო) გამოთქვა თანამშრომლობისთვის მზაობა. ეს მონაცემები შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი!

საწარმოების თანამშრომლობა ეკონომიკის სექტორების მიხედვით



საწარმოების მზაობა პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობისთვის



წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო